შალვა თადუმაძე

საქართველოს გენერალური პროკურორი

აკადემიური საქმიანობა და გამოვლენილი თვისებები/ქცევა	2
პროფესიულ საქმიანობაში გამოვლენილი გადაცდომები (დისციპლინური წარმოება, პროფესიული ეთიკა)	8
დაწინაურებები და პროფესიული საქმიანობისთვის მინიჭებული ჯილდოები / სტიპენდიები	9
კანონთან კონფლიქტი, ინტერესთა კონფლიქტი	10
კანდიდატის საჯარო აქტივობები / პოზიციები და ქცევა	11
კანდიდატის ფინანსური ვალდებულებები და შემოსავლები	19

2003-2004 წლებში ბატონი შალვა თადუმაძე მუშაობდა თავდაცვის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილედ. სხვადასხვა პერიოდში იგი ეწეოდა საადვოკატო საქმიანობას, ხოლო 2008 წელს დააფუძნა საადვოკატო კომპანია „შალვა თადუმაძე და ბი ელ ფი კონსალტინგი“, სადაც 2012 წლამდე მუშაობდა. 2012-2018 წლებში იყო საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი, 2018 წლის ივლისიდან კი შალვა თადუმაძე არის საქართველოს გენერალური პროკურორი.

ღია საზოგადოების ფონდი

1. კანდიდატის პროფესიული/ აკადემიური საქმიანობა და გამოვლენილი თვისებები/ქცევა

1. გადაწყვეტილებები, განსხვავებული აზრი, სასამართლო წარდგინებები

1.1. სამართლებრივად საინტერესო ან პრეცედენტული გადაწყვეტილებები

სამართლებრივი საკითხი: საქართველოს პარლამენტის დეპუტატის მიმართ აღკვეთის ღონისძიების - პატიმრობის გამოყენება.

ფაქტები: 2019 წლის 25 ივნისს საქართველოს გენერალურმა პროკურორმა, ბატონმა შალვა თადუმაძემ, საქართველოს პარლმენტის დეპუტატის, ნიკანორ მელიას მიმართ გამოიტანა დადგენილება ბრალდების შესახებ. დეპუტატს ბრალად ედება 2019 წლის 20-21 ივნისს საქართველოს პარლამენტის წინ გამართულ აქციაზე ჯგუფური ძალადობის ორგანიზება, ხელმძღვანელობა და მასში მონაწილეობა. საქართველოს პარლამენტმა ნიკანორ მელიასთვის აღკვეთის ღონისძიების – პატიმრობის შეფარდების მიზნით, სასამართლოსთვის მიმართვას მხარი დაუჭირა. თუმცა, პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებმა არ დააკმაყოფილეს პროკურორის შუამდგომლობა/საჩივარი პატიმრობის შეფარდების თაობაზე და მიზანშეწონილად ჩათვალეს მხოლოდ გირაოს და დამატებითი აღკვეთის ღონისძიებების გამოყენება.

საქმის მნიშვნელობა: საქმე ეხება სისხლისსამართლებრივ დევნას საქართველოს პარლამენტის წევრის მიმართ. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, დეპუტატის დამოუკიდებლობა დაცულია სპეციალური იმუნიტეტით. შესაბამისად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, დეპუტატის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის ყველა ეტაპზე დაცული იყოს დასაბუთების მაღალი სტანდარტი, მით უმეტეს, როდესაც გენერალური პროკურორი საქართველოს პარლამენტს მიმართავს.

გადაწყვეტილება / წინადადება:

- გენერალური პროკურორის მიერ პარლამენტისთვის წარდგენილი დოკუმენტი შედგება მხოლოდ 4 გვერდისგან. მასში არ არის მითითება დანართზე ან რაიმე დამატებით მასალაზე. დოკუმენტს არ აქვს მკაფიოდ გამოხატული სტრუქტურა, თუმცა მსჯელობა გარკვეული თანმიმდევრობით ვითარდება.
- როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ცალსახად მიუთითებს, რომ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისას აუცილებელია, არსებობდეს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული.[1] პარლამენტისთვის წარდგენილი დოკუმენტი შაბლონურად მიუთითებს, რომ ბრალდების მხარემ მოიპოვა მტკიცებულებები, რომლებიც დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით ადასტურებს კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენას ნიკანორ მელიას მიერ. **დოკუმენტში საერთოდ არაფერია ნათქვამი იმაზე, თუ რა სახის მტკიცებულებებია მოპოვებული საქმეზე**

[1] The right to liberty and security of the person: A guide to the implementation of Article 5 of the European Convention on Human Rights (2002), გვ. 22-34; **საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2015, (№3/2/646), § 71.**

და კონკრეტულად რა ინფორმაციას იძლევა თითოეული მათგანი. შესაბამისად, ბუნდოვანია აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ფაქტობრივი საფუძველი.

- ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციაც და საქართველოს კონსტიტუციაც განამტკიცებს თავისუფლების პრეზუმფციას. ეს გულისხმობს, რომ პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიების ყველაზე მძიმე ფორმა, გამოიყენება მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც სხვა ნაკლებად შემზღუდველი ზომით ვერ მიიღწევა დასახული მიზანი.[2] ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგენილია, რომ, ჩვეულებრივ, რომელიმე ერთი მიზეზი არ კმარა პატიმრობის შეფარდებისთვის და რამდენიმე ფაქტორი ერთობლიობაში (კუმულაციურად) უნდა იყოს განხილული.
- დოკუმენტში მითითებულია გარემოებათა კუმულაციურად შეფასების აუცილებლობაზე, თუმცა დამაჯერებლად არ არის ნაჩვენები, მითითებული გარემოებები ცალ-ცალკე ან/და ერთობლიობაში როგორ ასაბუთებს პატიმრობის აუცილებლობას და რატომ ვერ მიიღწევა ლეგიტიმური მიზნები სხვა ნაკლებად შემზღუდველი ღონისძიების გამოყენებით.
- იმის დასასაბუთებლად, რომ თავისუფლებაში ყოფნის პირობებში ნიკანორ მელია მიემალებოდა გამოძიებას, დოკუმენტში მითითებულია შემდეგი გარემოებები: ნიკანორ მელიას ბრალი ედება მძიმე დანაშაულის ჩადენაში, რომელიც უალტერნატივოდ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას; მას ბოლო ოთხი წლის განმავლობაში 24-ჯერ ჰქონდა გადაკვეთილი საზღვარი (მათ შორის, დიპლომატიური პასპორტის გამოყენებით, რაც პირს საშუალებას აძლევს, ისარგებლოს უცხო ქვეყანაში შესვლის გამარტივებული პროცედურებით); დოკუმენტში მითითებაა მის „ფინანსურ შესაძლებლობებზეც“ (შესაბამისი დაკონკრეტების გარეშე).
- დოკუმენტში დამატებით აღნიშნულია: „გვაქვს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ნიკანორ მელია თავისუფლად შეძლებს საზღვარგარეთ სათანადო პირობების შექმნას, შესაბამისი კონტაქტების დამყარებას, საიმისოდ, რომ სამომავლოდ თავი აარიდოს მართლმსაჯულებას. ზემოაღნიშნულის გარდა, დასაბუთებულ ვარაუდს ... ამყარებს ის გარემოებაც, რომ არაერთ უცხო ქვეყანაში იმყოფებიან მასთან ახლო კავშირში მყოფი პირები“.
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგენილია, რომ მიმალვის რისკი ვერ ჩაითვლება დადასტურებულად მხოლოდ იმ გარემოებაზე დაყრდნობით, რომ ბრალდებულისთვის შესაძლებელია/იოლია საზღვრის გადაკვეთა და არ არსებობს მიმალვის შემაფერხებელი ფაქტორი.[3]
- ამასთან, დოკუმენტში არ არის დაკონკრეტებული ქვეყნები, „კავშირში მყოფი პირები“ და ნიკანორ მელიასთან მათი ურთიერთობის დეტალები. ასევე დაუსაბუთებელია, თუ რატომ ვერ გაანეიტრალებს ზემოაღნიშნულ რისკებს, მაგალითად, პასპორტის ჩამორთმევის გამოყენება აღკვეთის ღონისძიების სახედ.
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად,[4] დანაშაულის სიმძიმე და მოსალოდნელი სასჯელის სიმკაცრე, ცალკე აღებული, ვერ გამოდგება პატიმრობის დასაბუთებად.
- დოკუმენტში მითითებულია ევროპული სასამართლოს 3 საქმე, იმის საჩვენებლად, რომ „სასამართლომ ბრალდებულის საერთაშორისო კონტაქტები საკმარის არგუმენტად მიიჩნია მართლმსაჯულებისათვის თავის არიდების საფრთხის დასასაბუთებლად“ და პატიმრობის საფუძვლად ჩათვალა. თუმცა ამ კონტაქტების ხარისხი და სპეციფიკა[5] მნიშვნელოვნად განსხვავდება ნიკანორ მელიას საქმეში ბრალდების მხა-

---

2 The right to liberty and security of the person: A guide to the implementation of Article 5 of the European Convention on Human Rights (2002), გვ. 27.

3 იხ. საქმე Strogmuller v. Australia, App.No. 1602/62, ECtHR, 1969

4 The right to liberty and security of the person: A guide to the implementation of Article 5 of the European Convention on Human Rights (2002),გვ. 29.

5 **ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაში საქმეზე W v. Switzerland ყურადღება გამახვილებულია იმ ფაქტზე, რომ პირის საცხოვრებელი ადგილი აღარ იყო შვეიცარია. ამასთან, მას გაცხადებული ჰქონდა ამერიკაში საცხოვრებლად გადასვლის სურვილი და ფლობდა ქონებას სხვა ქვეყნებში; და ბოლოს, სასამართლომ აღნიშნა, რომ როგორც მარტოხელა ადამიანს, მას არ გაუჭირდებოდა სხვა ქვეყანაში მიმალვა; გადაწყვეტილებაში საქმეზე Barfuss v. Czech Republic მითითებულია, რომ თუ პირი გაიქცეოდა გერმანიაში და მიიღებდა მოქალაქეობას, მისი ექსტრადირება ჩეხეთში შეუძლებელი იქნებოდა. ასევე აღნიშნული იყო ფაქტი, რომ ჩეხეთში მას ჰქონდა დიდი ოდენობით ვალები და წარსულში ნასამართლევი გახლდათ.**

რის მიერ გაკეთებული ზოგადი მითითებისგან: „არაერთ ქვეყანაში იმყოფებიან [ბრალდებულთან] ახლო კავშირში მყოფი პირები“. ამ განსხვავებების მიუხედავად, დოკუმენტი არ მსჯელობს ციტირებული გადაწყვეტილებების მიმართებაზე მოცემული საქმის ინდივიდუალურ გარემოებებთან.

- დოკუმენტში მითითებულია: „ევროპულმა სასამართლომ მის არაერთ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ წარსულში ბრალდებულის მაღალი თანამდებობრივი მდგომარეობა და ამ ფონზე მოწმეებზე ზემოქმედების რისკები რეალურად ასაბუთებდა აღკვეთის ღონისძიების მიზანშეწონილობას“. ამის მაგალითად დოკუმენტში მოყვანილია საქმეები: „მიქიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“, „კონრადი იტალიის წინააღმდეგ“ და „ღავთაძე საქართველოს წინააღმდეგ“.
  - **საქმე „ღავთაძე საქართველოს წინააღმდეგ“**[6] საერთოდ არ ეხება აღკვეთის ღონისძიების შეფარდების სტანდარტებს: ამ საქმეში განმცხადებელი დავობდა არასათანადო მოპყრობაზე (და არა აღკვეთის ღონისძიების კანონიერებაზე) და სასამართლოს მსჯელობაც წარმოდგენილია მხოლოდ ამ კუთხით.
  - **საქმე „კონრადი იტალიის წინააღმდეგ“**[7] ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში არ არსებობს.[8]
  - **საქმეში „მიქიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“** ბრალდებული არ იყო მაღალი თანამდებობის პირი, თუმცა, ძირითადი მოწმეები იყვნენ მისი მეგობრები, რაც სასამართლომ გასათვალისწინებელ ფაქტორად მიიჩნია ბრალდებულის მიერ მოწმეებზე ზემოქმედების კონტექსტში. დოკუმენტში არ არის დასაბუთებული, რამდენად მიესადაგება ეს საქმე ნიკანორ მელიას საქმის ინდივიდუალურ გარემოებებს.
- დოკუმენტში ასევე მითითებულია, რომ ნიკანორ მელიამ ახალი დანაშაული ჩაიდინა სხვა საქმეზე შეფარდებული გირაოს მოქმედების პირობებში. კერძოდ, მას ბრალად ედება მოქალაქეების დაყოლიება დანაშაულის ჩადენაზე. შესაბამისად, ნიკანორ მელიას შესწევს ადამიანებზე ზემოქმედების უნარი, მოწმეთა ნაწილი მისი მხარდამჭერია და, დასაბუთებული ვარაუდით, იგი შეძლებს ამ პირთა დაყოლიებას ან/და მათზე ზემოქმედებას, რომ არ მისცენ მისი მამხილებელი ჩვენება.

შენიშვნა: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კონსტიტუციის მე-18 მუხლით (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) დაცულ თავისუფლების უფლებას ეწინააღმდეგება ის ფაქტი, რომ პატიმრობის შეფარდებისას სასამართლო დაეყრდნო სისხლის სამართლის საქმის იმ ინფორმაციასა და გარემოებებს, რომლებიც მიუთითებს ბრალდებულის მიმალვის, მის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის, ანდა მტკიცებულებათა განადგურების (მოწმეებზე ზემოქმედების) ჰიპოთეტურ საფრთხე(ებ)ზე – კანონსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელების თეორიულ შესაძლებლობაზე და არა რეალურ რისკებზე.[9] ანალოგიურია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებაც ამ საკითხის შესახებ.[10]

---

6 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საქმე „ღავთაძე საქართველოს წინააღმდეგ“ (№23204/07), 2009 წ.

7 სავარაუდოდ, უნდა ეწეროს საქმე Contrada v. Italy, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (92/1997/876/1088), 1998. თუმცა, ეს საქმე ეხება მაფიასთან დაკავშირებული პირის მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოძიებას და მის შესაძლებლობას, მაფიის სტრუქტურისა და ბუნების გათვალისწინებით, ზემოქმედება მოეხდინა მაფიოზური ჯგუფის წევრებზე, რომლებმაც მისცეს ჩვენებები და, პრაქტიკულად, მთავარი მტკიცებულებები წარმოადგინეს საქმეში.

8 აღკვეთის ღონისძიების შეფარდებაზე სასამართლოს წინაშე შუამდგომლობაში მითითებული აღარ არის საქმე „ღავთაძე საქართველოს წინააღმდეგ“, არარსებული საქმე „კონრადი იტალიის წინააღმდეგ“ კი კვლავ მოხსენიებულია.

9 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2015, (№3/2/646), § 71

10 The right to liberty and security of the person: A guide to the implementation of Article 5 of the European Convention on Human Rights (2002), გვ.22-34

სამართლებრივი საკითხი: მოსამართლის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა.

ფაქტები: ბატონმა შალვა თადუმაძემ, მისი დაცვის ქვეშ მყოფი ბრალდებულის საქმის სასამართლო განხილვისას, ერთ-ერთ სხდომაზე დააყენა მოსამართლის მიუკერძოებლობის საკითხი და მოითხოვა მისი აცილება.

საქმის მნიშვნელობა: დოკუმენტიდან იკვეთება კანდიდატის ხედვა სამოსამართლო ეთიკასა და უდანაშაულობის პრეზუმფციასთან დაკავშირებით.[11]

შუამდგომლობა

- დაცვის მხარის მთავარი არგუმენტი გახლდათ მოსამართლის მიკერძოებულობა, თუმცა შუამდგომლობაში აღნიშნული საკითხი არ არის განხილული ფუნდამენტური კონსტიტუციური უფლების - დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს ჭრილში.
- მსჯელობა არ ეფუძნება ადგილობრივი და საერთაშორისო კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს მოსამართლის მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის შესახებ და არ მიუთითებს საქმეში გამოვლენილი ფაქტების შეუსაბამობაზე ამ სტანდარტებთან.
- შუამდგომლობიდან ირკვევა, რომ დაცვის მხარემ არ მოახდინა სათანადო და დროული რეაგირება მოსამართლის მიერ მტკიცებულებათა გამოკვლევისას გაკეთებულ განცხადებაზე, კერძოდ: მოსამართლემ შენიშნა განსასჯელის ახლო ურთიერთობა დარბაზში მყოფ მოწმის სტატუსით დასაკითხ პოლიციელებთან და პროცესზე ბრალდებულს მიმართა, რომ ციხეშიც ბევრი დრო ექნებოდა ციხის ბადრაგთან დასამეგობრებლად. შუამდგომლობაში მითითებულია, რომ იმ ეტაპზე ასეთი განცხადება არ წარმოადგენდა აცილების საფუძველს, რადგან „იუმორნარევი და ირიბი“ იყო.

შენიშვნა: პირი უდანაშაულოდ მიიჩნევა, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით, რომელიც ძალაშია შესული. განაჩენის გამოტანამდე პოზიციის დაფიქსირება პირის ბრალეულობასთან დაკავშირებით, ბრალდებულის უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევაა და ქმნის მოსამართლის მიკერძოების აშკარა განცდას. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, მოსამართლე ვერ მიიღებს მონაწილეობას საქმის განხილვაში, თუ არსებობს გარემოება, რომელიც საეჭვოს ხდის მოსამართლის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობას. უფლებამოსილმა პირმა აცილების შუამდგომლობა უნდა დააყენოს დაუყოვნებლივ, პირველი შესაძლებლობისთანავე. წინააღმდეგ შემთხვევაში, შუამდგომლობა არ განიხილება.

1.2. გახმაურებული საქმეები

შალვა თადუმაძის გენერალური პროკურორის პოზიციაზე არჩევამდე და არჩევის შემდეგ, არაერთი საქმე მოექცა საზოგადოების ყურადღების ცენტრში, როგორც სავარაუდო დანაშაულის შინაარსის, ასევე მათი გაჭიანურებული, არაეფექტიანი გამოძიების გამო. ამ საქმეებზე გამოძიება არ დასრულებულა შალვა თადუმაძის პროკურორობის დროს და საზოგადოებისთვის უცნობია მათი შედეგები.

საქართველოს კანონმდებლობით, მიუხედავად იმისა, რომელი სახელმწიფო უწყება იძიებს კონკრეტულ საქმეს, ამ პროცესზე ზედამხედველობას ახორციელებს გენერალური პროკურატურა. ეს ნიშნავს, რომ გაჭიანურებული ან არასრულყოფილი გამოძიება, ჩადენილი დანაშაულის არასწორი კვალიფიკაცია თუ არასათანადო საგამოძიებო მოქმედებები არის როგორც კონკრეტული საგამოძიებო უწყების, ასევე პროკურატურის პასუხისმგებლობა.

[11] **დოკუმენტი კანდიდატმა თვითონ წარუდგინა იუსტიციის საბჭოს, სხვა დოკუმენტებთან ერთად.**

საქართველოს პროკურატურა ერთიანი ცენტრალიზებული სისტემაა, სადაც ყველა პროკურორი და თანამშრომელი ექვემდებარება გენერალურ პროკურორს. სისტემის საქმიანობაზე პასუხისმგებელია გენერალური პროკურორი. მისი მითითებების შესრულება ქვემდგომი პროკურორებისათვის სავალდებულოა. კანონმდებლობის მიხედვით, ზემდგომი პროკურორი უფლებამოსილია, გააუქმოს ქვემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება/აქტი, შეიტანოს მასში ცვლილებები, ან ჩაანაცვლოს სხვა გადაწყვეტილებით/აქტით.

კანონმდებლობაზე დაყრდნობით, ლეგიტიმურია მოლოდინი, რომ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის საქმეთა გაჭიანურებული და არაეფექტიანი გამოძიებები გენერალური პროკურორის, როგორც სისტემის პირველი პირისა და ხელმძღვანელის, უშუალო პასუხისმგებლობაა.

გახმაურებული საქმეები:

- სიცოცხლის უფლების სავარაუდო ხელყოფის საქმეთა არასათანადო, გაუმჭვირვალე და გაჭიანურებული გამოძიებები (ხორავას ქუჩის საქმე[12], მაჩალიკაშვილის საქმე[13]);
- არასათანადო მოპყრობის ფაქტების არაეფექტიანი გამოძიებები;[14]
- პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეო და აუდიომასალების ინტერნეტში გავრცელება/გავრცელების მუქარის არაეფექტიანი გამოძიებები;[15]
- 2012 წლამდე ჩადენილი უფლებადარღვევის საქმეების არაეფექტიანი გამოძიება[16], გაუმჭვირვალე პრიორიტეტებისა და შერჩევითი მართლმსაჯულების პრობლემა (მაგ.: ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის დამფუძნებელთა საჩივარზე რამდენიმე წელია მიმდინარეობს გამოძიება, საქმისადმი განსაკუთრებული საჯარო ინტერესის მიუხედავად[17]);
- სამართალდამცველთა მხრიდან სავარაუდოდ ჩადენილი ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების არაეფექტიანი გამოძიება (ბირჟა-მაფიას საქმე,[18] კლუბ „ბასიანსა“ და „გალერიში“ ჩატარებული სპეცოპერაციისას უფლებამოსილების გადამეტების სავარაუდო ფაქტები[19], ზვიად რატიანის საქმე[20] და სხვ.);

---

12 სახალხო დამცველის ანგარიში, 2017, გვ 37-40; იხ. დროებითი საგამოძიებო კომისიის დასკვნა;

13 სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის განცხადება; სახალხო დამცველის ანგარიში, 2018, გვ. 32.

14 სახალხო დამცველი 2016 წლის ანგარიშში მიუთითებდა: „პროკურატურის მონაცემებით, 2016 წელს პოლიციელთა მხრიდან სავარაუდოდ ჩადენილ არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე გამოძიება დაიწყო 173 საქმეზე, საიდანაც მხოლოდ 5 საქმეზე დაიწყო დევნა, ხოლო ამათგან 2 პირის მიმართ გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი. დევნა არცერთ შემთხვევაში არ დაწყებულა არასათანადო მოპყრობის ან წამების დანაშაულის კვალიფიკაციით, არამედ – სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებით.“ 2019 წლის 26 ივნისის ანგარიშში, მან ასევე აღნიშნა: „სახალხო დამცველი წლებია საუბრობს არასათანადო მოპყრობის ფაქტების არაეფექტიან გამოძიებაზე, რომლის პასუხად ერთი და იგივე - „მიმდინარეობს გამოძიება“ ისმის. საზოგადოება ნაკლებ შედეგს ხედავს და, შესაბამისად, იკარგება ნდობა ამ პროცესისა და, ზოგადად, საგამოძიებო ორგანოების მიმართ.“

15 იხ. სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში, 2018, გვ: 110-113; სახალხო დამცველი ანგარიშში მიუთითებდა: „საქართველოს სახალხო დამცველმა არაერთხელ მიმართა საქართველოს პროკურატურას და დროული და ეფექტიანი გამოძიების ჩატარებისკენ მოუწოდა. მიუხედავად პროკურატურის მიერ გატარებული ღონისძიებებისა, რომლითაც დასტურდება, რომ პასუხისგებაში მიეცა არაერთი ადამიანი, მაინც უცნობი დარჩა პასუხი შეკითხვებზე: ვინ დაგეგმა, შექმნა და თავდაპირველად გაავრცელა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში პირადი ცხოვრების საიდუმლოების ამსახველი ინფორმაცია.“

16 http://www.hridc.org/admin/editor/uploads/files/pdf/hrcrep2018/reaserch-geo.pdf

17 იხ. „ტაბულას“ სტატია;

18 სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში, 2017. გვ. 169-170; აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით იხილეთ საზოგადოებრივი მაუწყებლის სიუჟეტი;

19 იხ. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის განცხადება;

20 იხ. „ტაბულას“ სტატია;

- წინასაარჩევნო პერიოდში მომხდარი ინციდენტების არაეფექტიანი გამოძიება[21] (კორცხელის ინციდენტი და სხვ.);[22]
- სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებზე სავარაუდო ზეწოლის ფაქტების არაეფექტიანი გამოძიებები (სავარაუდო მუქარა საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარის მიმართ[23]);
- სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან ჩადენილი და სასამართლო სისტემასთან დაკავშირებული სავარაუდო დანაშაულების არაეფექტიანი გამოძიება (გიორგი მიქაუტაძის მიერ არასრულწლოვნის სავარაუდო ცემის ფაქტი, იუსტიციის საბჭოში ელექტრონული არქივის წაშლა,[24] საგამოცდო ტესტების გამჟღავნების საქმე)[25];
- სახელმწიფოს წინააღმდეგ ჩადენილი სავარაუდო დანაშაულების არაეფექტიანი გამოძიება (ე.წ. საბურავების საქმე; 2015 წელს ინტერნეტში გავრცელებული საუბრის საფუძველზე დაწყებული გამოძიება, რომელიც შეეხება ოპოზიციის მხრიდან სახელმწიფო ხელისუფლების ხელში ჩაგდების შეთქმულებას[26] და სხვ.);
- სხვა გახმაურებული და მაღალი საზოგადოებრივი მნიშვნელობის საქმეები (აფგან მუხთარლის საქმე[27], ყოფილი გენერალური პროკურორის მხრიდან თავდასხმა გენერალურ აუდიტორზე[28], დეკანოზ მამალაძის საქმე[29], დემურ სტურუას საქმე[30], ია კერზაიას გარდაცვალების საქმე[31], სოფელ მოხესა და ჭელაში მუსლიმთა უფლებების დარღვევის საქმე,[32] „TBC ბანკზე“ კიბერშეტევის საქმე,[33] მალხაზ მაჩალიკაშვილის საქმე[34] და სხვ.).

გახმაურებული საქმეების არაეფექტიანი გამოძიების გამო, პროკურატურა არაერთხელ გახდა კრიტიკის საგანი, როგორც ადგილობრივი,[35] ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან.[36] სამოქალაქო სა-

---

21 სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში, 2018, გვ. 219-222;

22 ფაქტთან დაკავშრებით იხილეთ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის განცხადება; ასევე, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს განცხადება;

23 საქმესთან დაკავშირებით იხილეთ კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ განცხადება; იხ. „რადიო თავისუფლების“ სტატია ;

24 იხ. „ნეტგაზეთის“ სტატია; თემასთან დაკავშირებით იხილეთ კავშირები. ge -ს სტატია;

25 იხ. ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის სიუჟეტი;

26 იხ. სტატია;

27 იხ. სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში, 2018, გვ. 156-157; ასევე, თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის ანგარიში, აფგან მუხთარლის საქმე, ფაქტები და შეფასება, თბილისი, მაისი, 2018;

28 სახალხო დამცველის ანგარიში, 2017, გვ. 84;

29 იხ: საქართველოს ახალგაზრდა იურსტთა ასოციაციის განცხადება; ასევე, პორტალი ადამიანის უფლებების შესახებ, Humanrights.ge-ს განცხადება;

30 თემასთან დაკავშირებით იხილეთ ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის განცხადება; ასევე, „პალიტრა ნიუსის“ სიუჟეტი და სტატია;

31 იხ. „რადიო თავისუფლების“ სტატია;

32 იხ. სახალხო დამცველის ანგარიში-2015, გვ. 487-489;

33 იხ. „ტაბულას“ სტატია

34 იხ. „ლიბერალის“ სტატია;

35 მაგ: სახალხო დამცველის ანგარიშებში მითითებულია, რომ სათანადოდ არ არის კვალიფიცირებული და გამოძიებული წამებისა და არასათანადო მოპყრობის საქმეები, ასევე არ ხდება სხვა გახმაურებული საქმეების ეფექტიანი გამოძიება. იხ: სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში, 2018; ასევე, სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში: არასათანადო მოპყრობის სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების ეფექტიანობა, 2019.

36 ანგარიშში Association Implementation Report on Georgia, JOINT STAFF WORKING DOCUMENT, Brussels, 30.1.2019 SWD(2019) 16 final მითითებულია: „სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არასათანადო მოპყრობის შემთხვევები შემცირდა, განსხვავებით პოლიციელთა მხრიდან განხორციელებული არასათანადო მოპყრობის შემთხვევებისა. 2018 წლის სექტემბრიდან სახალხო დამცველის ოფისმა 149 საჩივარი მიიღო ციხის თანამშრომელთა ან პოლიციელთა მხრიდან ჩადენილ არასათანადო მოპყრობაზე და მიმართა მთავარ პროკურორს რვა საქმის გამოძიების მოთხოვნით. არცერთ საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნა არ განხორციელებულა.“ ანგარიშში Association agreements between the EU and Moldova, Georgia and Ukraine European Implementation European Parliamentary Research Service (2018) მითითებულია: „საქართველო ცდილობს, მიაღწიოს პროგრესს დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობის საქმეში. ... პროკურატურა ამ სისტემაში რჩება ყველაზე სუსტ რგოლად.“

ზოგადოებამ და ექსპერტებმა არაერთხელ განაცხადეს საჯაროდ შერჩევითი და პოლიტიზებული მართლმსაჯულების შესახებ (კაბელების საქმე[37], „TBC ბანკის“ დამფუძნებელთა მიმართ 11 წლის წინანდელ ფინანსურ ტრანზაქციაზე დაწყებული გამოძიება და წარდგენილი ბრალი[38], ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ ყოფილი გენერალური დირექტორის მიმართ დაწყებული გამოძიება და წარდგენილი ბრალი[39], 2019 წლის 20-21 ივნისის აქციაზე პოლიციელთა მხრიდან ძალის გადამეტების ფაქტების გამოძიება[40] და ამ აქციაზე განვითარებული მოვლენების გამო დეპუტატ ნიკანორ მელიასთვის წარდგენილი ბრალი, ოპოზიციონერი პოლიტიკოსის ირაკლი ოქრუაშვილისა[41] და სხვა პირების დაკავება[42] და სხვ).

ექსპერტების კრიტიკას იმსახურებს პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც არაერთ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის საქმეში დაცვის მხარეს ხელი მოაწერინეს ე.წ „გაუთქმელობის ხელწერილზე“.[43] ამის გამო მხარე ვერ ახერხებს საქმეზე საჯაროდ საუბარს, მაშინ, როდესაც ბრალდების მხარე საქმის შესახებ ავრცელებს სხვადასხვა ინფორმაციას/კომენტარს, რაც მხარეებს ცალსახად უთანასწორო მდგომარეობაში აყენებს.[44]

---

37 **იხ. „რადიო თავისუფლების“ სტატია;**

38 **იხ: „რადიო თავისუფლების“ სტატია, ასევე, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ განცხადება;**

39 **იხ. არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება;**

40 **იხ. „ტაბულას“ სტატია;**

41 **იხ. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ განცხადება;**

42 **იხ. ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის სიუჟეტი;**

43 **სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა მხარეს ანიჭებს უფლებას, სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე დაავალდებულოს, რომ მისი ნებართვის გარეშე არ გაამჟღავნოს საქმეში არსებული ცნობები და გააფრთხილოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ (სსსკ 104-ე მუხლი), თუმცა, ის გარემოება, რომ ამგვარი შესაძლებლობა ბოლო პერიოდში ხშირად გამოიყენება მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის საქმეებზე, ბადებს ეჭვს.**

44 **იხ. სახალხო დამცველის კომენტარი თემაზე.**

2. პროფესიულ საქმიანობაში გამოვლენილი გადაცდომები (დისციპლინური წარმოება, პროფესიული ეთიკა)

1. დისციპლინური წარმოება – არსებული საჩივრები

- კანდიდატის მიმართ დისციპლინური სახდელი არ გამოყენებულა.

2. პროფესიული ეთიკის ნორმების სავარაუდო დარღვევა

- საადვოკატო საქმიანობისას ბატონმა შალვა თადუმაძემ არ დააყენა მოსამართლის აცილების შუამდგომლობა მაშინ, როდესაც მოსამართლემ სასამართლო პროცესის დროს აღნიშნა, რომ ბრალდებულს სამომავლოდ ექნებოდა დრო სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ე.წ „საბადრაგო სამსახურის“ წარმომადგენლებთან დასამეგობრებლად. ამით მოსამართლემ, ფაქტობრივად, წინასწარ გამოთქვა აზრი პირის დამნაშავედ ცნობაზე, ადვოკატ თადუმაძეს კი რეაგირება არ მოუხდენია. მეტიც, მან მოსამართ-

ლის აცილების შუამდგომლობა დააყენა სხვა საფუძვლებით და ამავე შუამდგომლობაში მოსამართ-ლის ფრაზას „იუმორნარევი“ და „ირიბი“ ნათქვამი უწოდა.[1]

2

3. საქმიანობა პროკურატურაში

- ბატონმა შალვა თადუმაძემ, როგორც გენერალურმა პროკურორმა, 2019 წლის ივნისში წინადადებით მიმართა საქართველოს პარლამენტს, რომ მიეღო კანონით გათვალისწინებული თანხმობა მისი წევ-რის, ნიკანორ მელიას მიმართ პატიმრობის გამოსაყენებლად.[2]

---

1 **„ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-5 მუხლი მიუთითებს კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპზე, რომლის თანახმადაც, ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირად და სხვა პირთა ინტერესებზე მაღლა.**

2 **დადგენილება პარლამენტის წევრის ნიკანორ მელიას ბრალდების შესახებ პროკურატურამ მისი ინტერესების დამცველ ადვოკატს გააცნო, იხ: http://bit.ly/2GAWet9**

3. დაწინაურებები და პროფესიული საქმიანობისთვის მინიჭებული ჯილდოები / სტიპენდიები

1. კარიერული განვითარება

- 2001-2003 წლებში კანდიდატი შალვა თადუმაძე ეწეოდა საადვოკატო საქმიანობას სხვადასხვა ორგა-ნიზაციაში. 2003-2004 წლებში იგი იყო თავდაცვის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე. 2005-2007 წლებში ის დაუბრუნდა საადვოკატო საქმიანობას, 2008 წელს კი დააფუძნა საად-ვოკატო კომპანია „შალვა თადუმაძე და ბი ელ ფი კონსალტინგი“, სადაც მუშაობდა 2012 წლამდე.
- 2012-2018 წლებში კანდიდატი იყო საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი, ხოლო ბოლო 3 თვის განმავლობაში – მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი.
- 2018 წლიდან დღემდე ბატონი შალვა თადუმაძე საქართველოს გენერალური პროკურორია.

2. მიღებული ჯილდო/სტიპენდია

- შალვა თადუმაძეს არ აქვს მიღებული ჯილდო/სტიპენდია.

4. კანონთან კონფლიქტი, ინტერესთა კონფლიქტი

1. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევები / ჯარიმები, სასამართლო დავები

- კანდიდატი შალვა თადუმაძე ნასამართლევი არ არის.
- შალვა თადუმაძის მიმართ არ გამოყენებულა ადმინისტრაციული სახდელი.
- სასამართლო დავებში შალვა თადუმაძე არ მონაწილეობდა მხარედ.

2. პარტიული კუთვნილება, ინტერესთა კონფლიქტი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთან, კავშირი პოლიტიკოსებთან/გავლენიან ადამიანებთან

- კანდიდატი შალვა თადუმაძე არ ყოფილა რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი.
- შალვა თადუმაძე სასამართლოში იცავდა ბიძინა ივანიშვილისა და მისი მეუღლის ეკატერინა ხვედელიძის ინტერესებს, მათთვის საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევის საქმეზე. მასთან ერთად ამ საქმეში ადვოკატები იყვნენ: ეკა ბესელია, ალექსანდრე ბარამიძე, ზაქარია ქუცნაშვილი და არჩილ კბილაშვილი.
- შალვა თადუმაძე გენერალური პროკურორის თანამდებობაზე შეარჩია საპროკურორო საბჭომ.[1] საბჭოს ერთ-ერთი წევრი გახლდათ იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი, რომელიც კანდიდატის შვილის ნათლიაა.[2] გასაუბრებაში მონაწილეობის მიუხედავად, იუსტიციის მინისტრი კენჭისყრის პროცესში არ ჩართულა.
- კანდიდატ შალვა თადუმაძის რეკომენდატორები არიან: ირაკლი სესიაშვილი (საქართველოს პარლამენტის წევრი პარტია „ქართული ოცნებიდან“), კობა კობალაძე (საქართველოს პარლამენტის წევრი პარტია „ქართული ოცნებიდან“), მაია ცქიტიშვილი (საქართველოს ვიცე პრემიერ-მინისტრი, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი).
- შალვა თადუმაძის გენერალურ პროკურორად დანიშვნისთანავე, საზოგადოების მხრიდან გაჩნდა კითხვები მის იურიდიულ განათლებასთან დაკავშირებით. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ 6 თვის განმავლობაში ცდილობდა, მიეღო გენერალური პროკურორის დიპლომის ასლი, შემდეგ კი იძულებული გახდა, ამ მოთხოვნით მიემართა სასამართლოსთვის.[3] საპროკურორო საბჭოს ვებგვერდზე განთავსებულ ინფორმაციაში მითითებულია, რომ შალვა თადუმაძე 1994-1999 წლებში სწავლობდა თბილისის ჰუმანიტარულ ინსტიტუტში.[4] გენერალური პროკურატურის ვებგვერდის თანახმად, შალვა თადუმაძემ აღნიშნული ინსტიტუტი 1999 წელს დაამთავრა,[5] იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის წარდგენილ განაცხადში იგი ნოდარ დუმბაძის სახელობის თბილისის ჰუმანიტარულ ინსტიტუტში სწავლის პერიოდად მიუთითებს 1994-1998 წლებს, თუმცა უშუალოდ დიპლომში წერია 1993-1998წწ. ასევე ბუნდოვანია თვითონ თბილისის ჰუმანიტარული ინსტიტუტის საკითხი: განათლების სამინისტროს ვებგვერდზე არსებულ აკრედიტებულ უნივერსიტეტებს შორის ასეთი დასახელების სასწავლებელი არ მოიძებნა. ჩამონათვალში არის თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი, რომლის წარმომადგენელთა განცხადებით, შალვა თადუმაძეს ამ უნივერსიტეტში არ უსწავლია.[6]

---

1 საპროკურორო საბჭომ მთავარი პროკურორობის კანდიდატი შეარჩია, იხ: http://bit.ly/2LU4IoL

2 წულუკიანი: შალვა თადუმაძის შვილის ნათლია ვარ, ნათესავი – არა, იხ: http://bit.ly/2Kb67zG

3 „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ შალვა თადუმაძის დიპლომის ასლის მოთხოვნით სასამართლოს მიმართავს, იხ: http://bit.ly/2KhPu5J

4 საპროკურორო საბჭოს ვებგვერდი, კანდიდატი #9 – შალვა თადუმაძე, იხ: http://bit.ly/2GMx6Qm

5 საქართველოს პროკურატურა, იხ: http://bit.ly/2T7rvsB

6 ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის სიუჟეტი, იხ: http://bit.ly/2Khk3Z8

5. კანდიდატის საჯარო აქტივობები / პოზიციები და ქცევა

1. სოციალურ ქსელში დაფიქსირებული მოსაზრებები

კანდიდატი შალვა თადუმაძე არ იყენებს სოციალურ ქსელებს. მას არ აქვს არც პერსონალური პროფილი და არც ოფიციალურ თანამდებობასთან დაკავშირებული გვერდი.

2. შალვა თადუმაძის საჯარო განცხადებები

2.1. განცხადება მის დიპლომთან დაკავშირებულ კითხვის ნიშნებზე

ბიოგრაფიის მიხედვით, ბატონი შალვა თადუმაძე 1994-1999 წლებში თბილისის ჰუმანიტარულ ინსტიტუტში სწავლობდა. მისი დიპლომის ნამდვილობის შესახებ მედიაში გავრცელებულ ინფორმაციასთან[1] დაკავშირებით, კანდიდატმა განმარტა:

> **შემიძლია გითხრათ, ამ ქვეყანაში ცხოვრობდა ორი მილიარდერის ოჯახი და ორივე მილიარდერის ოჯახს ამ დიპლომით ვემსახურებოდი. ამ ქვეყანაში რამდენიმე ათეულ გენერალს ვემსახურებოდი, როგორც ადვოკატი. ამ დიპლომით შევძელი, რომ ექვსი წელი მემუშავა საკანონმდებლო ინიციატივებზე მთავრობის ნაწილში და ექვსი წლის განმავლობაში ყველა პოლიტიკურ გუნდს, რომელიც პარლამენტში მოხვდა, ჰქონდა შესაძლებლობა, მონაწილეობა მიეღო იმ კანონების განხილვაში, რომელსაც ან პირადად მე ვწერდი, ან პირადად ვიღებდი ამაში მონაწილეობას. ჩემს განათლებასთან დაკავშირებით კითხვები საიდან გაჩნდა, არ მესმის, რადგან 17 წლის განმავლობაში უკანასკნელი ორი დღეა, უმუშევარი ვარ. არცერთი დღე არ არსებობდა, რომ არ ვყოფილიყავი დასაქმებული, როგორც იურისტი".[2]**

2.2. განცხადება საქართველოს ყოფილი მთავარი პროკურორის ოთარ ფარცხალაძის შესახებ

2019 წლის 23 ივლისს ბატონმა შალვა თადუმაძემ განმარტა, რომ ოთარ ფარცხალაძის კომპეტენციას ვერ შეაფასებს, თუმცა მას დიდი გამოცდილება და კვალიფიკაცია აქვს იმ ნაწილში, რომელშიც მუშაობდა.[3] შალვა თადუმაძემ დამატებით აღნიშნა:

---

1 „მთავარი პროკურორის სადავო დიპლომი – არასამთავრობოები განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მოპოვებას სასამართლოს გზით გეგმავენ", 2019 წელი, 31 იანვარი; ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2YUObhe

2 „შალვა თადუმაძე – საქართველოში ცხოვრობდა ორი მილიარდერის ოჯახი და ორივეს ამ დიპლომით ვემსახურებოდი", 2018 წლის 16 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://1tv.ge/news/shalva-tadumadze-

3 „ვიცნობ და კარგი ურთიერთობა მაქვს – შალვა თადუმაძე ოთარ ფარცხალაძეს პოზიტიურად ახასიათებს", 2019 წლის 23 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://on.ge/story/411

ერთი, რაც მან ნამდვილად დააწესა და მე ამ სისტემაში ყოველდღიური ურთიერთობით ვიცი, დააწესა სამართლიანი განწყობის სტანდარტი შიგნით. დღეს ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს, მიუხედავად იმ ვერტიკალისა, რაც პროკურატურაში არსებობს, გვქონდეს ძალიან მეგობრული, კოლეგიალური, ღია ურთიერთობები. დარწმუნებული ვარ, ეს არის ბატონი ოთარის დამსახურება. მან ეს სისტემა ჩამოაყალიბა გამჭვირვალობით და ღიაობით.“[4]

2.3. განცხადება სახალხო დამცველის ანგარიშის შესახებ

2016 წლის 5 მაისს მთავრობის საპარლამენტო მდივანმა, შალვა თადუმაძემ, ომბუდსმენის ანგარიშთან დაკავშირებით აღნიშნა:

ორი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა, შეიძლება ითქვას, ყოველდღიური მუშაობა იმაზე, რომ შექმნილიყო ახალი სამართალდარღვევათა კოდექსი. ამაში ჩართული იყო სახალხო დამცველის წარმომადგენელიც და ელექტრონულ ფორმატში ეგზავნებოდა ყველა შენიშვნა, ყველა წინადადება. მე ვფიქრობ, რომ სახალხო დამცველის ანგარიშში არ უნდა იყოს დოკუმენტი, რომელშიც ასახულია კანონპროექტებზე შენიშვნები და წინადადებები“.[5]

2.4. განცხადება ბიძინა ივანიშვილის საქმიანობის შესახებ

2011 წლის 22 დეკემბერს ბიძინა ივანიშვილისა და მისი მეუღლის ეკატერინა ხვედელიძის მოქალაქეობის საკითხზე გამართულ სასამართლო პროცესზე, საპაექრო სიტყვების დასრულების შემდეგ, ადვოკატი შალვა თადუმაძე რეპლიკით გამოვიდა და ხაზი გაუსვა ივანიშვილის დამსახურებას საქართველოს წინაშე. კერძოდ, მან ისაუბრა დახარჯულ 1.6 მილიარდზე, „გადარჩენილ კულტურაზე, სპორტსა და საზღვარგარეთ სამკურნალოდ წაყვანილ ბავშვებზე“. შალვა თადუმაძის თქმით, ბიძინა ივანიშვილმა ააშენა და რესტავრაცია ჩაუტარა 500-ზე მეტ ტაძარს და გახდა ათსაუკუნოვანი მოვლენის – სამების საკათედრო ტაძრის ავტორი. მან ასევე განაცხადა:

როგორც ყველა ქართველს, მეც მეზიზღება ის ჯალათი, რომელმაც პირველი საკათედრო ტაძრის ამშენებელს მარჯვენა მოკვეთა. მსგავსი რამ ახლა არ უნდა განმეორდეს“.[6]

2.5. 2012 წლის ინტერვიუ საქართველოს მართლმსაჯულების სისტემაში არსებული პრობლემების შესახებ

ბატონმა შალვა თადუმაძემ 2012 წლის ინტერვიუში განაცხადა:

არაერთი სასამართლო პროცესი მახსოვს, როცა მოსამართლე პირდაპირ მიმტკიცებდა შავზე, რომ თეთრი იყო. ოღონდ გადატანითი მნიშვნელობით კი არა, ნამდვილად... მქონია შემთხვევა, როცა მოსამართლე მთელი პროცესის განმავლობაში თავდახრილი იჯდა, რადგან შეგნებულად უწევდა უსამართლო გადაწყვეტილების მიღება“.[7]

---

4 იქვე.

5 „თადუმაძე: ომბუდსმენის ანგარიშში კანონპროექტებზე შენიშვნები არ უნდა იყოს“, 2016 წლის 5 მაისი, ხელმისაწვდომია: http://www.tabula.ge/ge/verbatim/

6 ბიძინა ივანიშვილის „მოკვეთილი მარჯვენა“, 2011 წლის 22 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/law/12059/

7 „ქართული მართლმსაჯულების ფენომენი, ანუ არის თუ არა შავი და თეთრი განსხვავებული ფერები“, 2012 წლის 17 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2ZGtXIW

3. კანდიდატ შალვა თადუმაძის გასაუბრება იუსტიციის უმაღლეს საბჭოში

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის, დიმიტრი გვრიტიშვილის შეკითხვა კანდიდატ შალვა თადუმაძეს: **„თქვენს რეკომენდატორებში მითითებული გყავთ მხოლოდ პოლიტიკოსები მმართველი პარტიიდან. ჟურნალისტების აზრით, ამან შეიძლება კითხვები გააჩინოს მიუკერძოებლობაზე. რას გვეტყვით ამასთან დაკავშირებით?“**

შალვა თადუმაძის პასუხი:

> **სამივე არის ადამიანი, რომელმაც ზუსტად იცის ჩემი კვალიფიკაცია. არცერთი მათგანი არ არის პოლიტიკური ნიშნით და მმართველ პარტიასთან გაიგივებით შერჩეული. ირაკლი სესიაშვილთან მე გავატარე 11 წელი არასამთავრობო ორგანიზაციაში, ის იყო ჩემი ხელმძღვანელი და თუ ვინმემ ამ ქვეყანაში იცის ჩემი კვალიფიკაცია, იცის ირაკლი სესიაშვილმა... თუ კიდევ ვინმემ იცის, რა შესაძლებლობები გამაჩნია პროფესიული და ადამიანური კუთხით, იცის მაია ცქიტიშილმა, იმიტომ, რომ მე და ქალბატონმა მაიამ ერთად ვიმუშავეთ 6 წლის მანძილზე მთავრობის ადმინისტრაციაში. ის იყო მთავრობის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და მე ვიყავი მთავრობის საპარლამენტო მდივანი და ჩვენ გვქონდა კვეთა ერთმანეთთან მუშაობისას... კობა კობალაძე, რომელიც არის ჩემი მეგობარი, ასევე, პარლამენტის წევრი და ერთადერთი ბრალდებული, რომელიც შევძელი, რომ სასამართლო დარბაზიდან გამომეყვანა მაშინ, როდესაც გამამართლებელი განაჩენების მაჩვენებლები არც ისე მაღალი იყო. ეს არის ის ხალხი, რომლებმაც ზუსტად იციან ჩემი შესაძლებლობები და აქ არანაირი პოლიტიკური სიმპატიების ნაწილი არ არსებობს. დარწმუნებული ვიყავი, რომ თუ ვინმეს შეეძლო ჩემს პროფესიულ და ადამიანურ თვისებებზე ღიად, თავისუფლად და დამაჯერებლად საუბარი, ეს ადამიანები არიან“.**

იუსტიციის საბჭოს წევრის, ირმა გელაშვილის შეკითხვა კანდიდატს: „თქვენ სამოტივაციო წერილში გიწერიათ, რომ **„მართლმსაჯულების სისტემაში მოსამართლე არის ღმერთი. მხარეებმა შესაძლოა დაგმონ ან უარყონ იგი, მაგრამ მისი ნება აუცილებლად აღსრულდება“.** რას ნიშნავს, **„მოსამართლე არის ღმერთი“ და სადამდე შეიძლება დაგმონ იგი, ან მისი ნება რომ აუცილებლად აღსრულებადია, ამაში რას გულისხმობთ?“**

შალვა თადუმაძის პასუხი:

> **ეს ცოტა ხატოვნად არის ნათქვამი. ზუსტად ერთი წლის წინ საპროკურორო საბჭოზე მკითხეს, რა დამოკიდებულება მქონდა მოსამართლეების მიმართ და, გულწრფელი რომ ვიყო, ყოველთვის ასეთი დამოკიდებულება მქონდა. ეს არის ხატოვანი გამოთქმა, გეტყვით, საიდან გამომდინარე: მე მქონდა შესაძლებლობა (ჩემს ბიოგრაფიაშიც ჩანს)... არ მინდოდა ამაზე საუბრის განმეორება, მაგრამ... მქონდა შესაძლებლობა, ამერიკის შეერთებულ შტატებში შევხვედროდი საზღვაო ძალების მოსამართლეს. მოგეხსენებათ, სამხედროებს სხვა რომანტიკა გააჩნიათ თავიანთ პროფესიასთან მიმართებით, და მან მითხრა ეს ფრაზა, რომელიც ძალიან მომეწონა. შესაბამისად, ჩემს ღირებულებით ნაწილად ჩამოყალიბდა, რომ მხარეებისთვის მართლმსაჯულების სისტემაში მოსამართლე არის ღმერთი, ის შეიძლება უარყო, დაგმო, გაასაჩივრო მისი გადაწყვეტილება, თქვა, რომ უსამართლოდ მოიქცა, თქვა რომ, არ მოგწონს მისი გადაწყვეტილება, მაგრამ კანონმდებლობა მას აძლევს შესაძლებლობას, რომ მისი საბოლოო გადაწყვეტილება აუცილებად აღსრულდეს. ასე რომ, ეს არის ხატოვანი გამოთქმა“.**

ირმა გელაშვილის შეკითხვა კანდიდატს: **„კანონმდებლობით, მოსამართლის საქმიანობა შეუთავსებელია სხვა ანაზღაურებად საქმიანობასთან. ასევე, კანონმდებლობით გათვალისწინებულია მოსამართლის სოციალური დაცვის გარანტიები. მაგალითად, მოსამართლეს ჯანმრთელობის მძიმე მდგო-**

მარეობის გამო, ყოველ თვე ესაჭიროება მკურნალობა, პირობითად, იმუნოგლობულინის გადასხმა, რომლის ღირებულებაც არის მოსამართლის ერთი თვის ხელფასი. მოსამართლე, იმისათვის, რომ გადარჩეს (ფიზიკურ გადარჩენაზეა საუბარი და არა სამსახურის შენარჩუნებაზე), იძულებულია, საღამოს, არასამუშაო საათებში, დამატებით იმუშაოს (მაგ.: მიიღოს სტუდენტები სახლში და ამეცადინოს, ან დაწერილი აქვს თავისთვის დისერტაცია და ყიდის მაღალი თანამდებობის პირზე იმიტომ, რომ გადარჩეს). შეაფასეთ მოსამართლის ქმედება, ოღონდ მითხარით არგუმენტი, კონტრარგუმენტი რა შეიძლება იყოს, და თქვენი შეფასება ბოლოს“.

შალვა თადუმაძის პასუხი:

მე რომ ის ტვირთი არ მქონდეს, რაც თანამდებობრივად მაქვს, უფრო რადიკალურად ვუპასუხებდი. მე მგონია, რომ ასეთი მოსამართლე უნდა მოკვდეს, რადგან თუ ეს თვითგადარჩენისთვის არის, მე ამას ვსაუბრობ ადამიანური და არა პროფესიული ნაწილით, ეს არ შეესაბამება მოსამართლის ეთიკის წესებს. მე მგონია, რომ კაზუსი არასწორია საერთოდ, იმიტომ, რომ როცა მოსამართლე დისერტაციას წერს და ყიდის, ეს დანაშაულია. დისერტაცია ეს არის უფლების მოპოვების საშუალება და თუ მას ამის შესაძლებლობა აქვს, რომ დისერტაცია დაწეროს და გაყიდოს, მე, რამდენადაც მახსოვს, საერთაშორისო გამოცდილებაც არსებობს, რომ დისერტაციის დამწერები და შემდეგ ამის გამყიდველები პასუხისგებაში მიეცნენ, რადგან ამ დისერტაციით პირს ეძლევა შესაძლებლობა, რომ რაღაც უფლება მოიპოვოს, იგივე სამეცნიერო ხარისხი. მოსამართლის ქცევა არაეთიკურია, რადგან იმისათვის, რომ თავი გადაირჩინოს, სჩადის ისეთ საქციელს, რომლითაც არღვევს ეთიკის წესებს – ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, გადის დანაშაულის ზღვარზე“.

იუსტიციის საბჭოს წევრის, ნაზი ჭანეზაშვილის შეკითხვა კანდიდატს: „როდესაც სასამართლოსთან დაკავშირებით მე და ქალბატონი ანა გამოვდივართ და ვსაუბრობთ იმაზე, თუ რა პრობლემების წინაშე დგას დღეისათვის სასამართლო, ეს ტოვებს აღქმას, რომ სასამართლო დამოუკიდებელი არ არის?“

შალვა თადუმაძის პასუხი:

თანამედროვე სტანდარტებში რომ გადავიტანოთ, არსებობს ასეთი გამოთქმა: „თუ გინდა, მოიგო ომი, CNN-მა უნდა თქვას, რომ ომი მოიგე“. ანუ მასმედიის როლი ამ გამონათქვამში ძალიან კარგად არის ნაჩვენები, და ერთიანი სისტემაც. საზოგადოებასთან ურთიერთობას ეხება პრობლემა და აქ არ მაქვს საუბარი, რომ შეიზღუდოს გამოხატვა. კოლეგიურ ორგანოში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს, კოლეგიურ ორგანოში ის განცდაც არსებობს, რომ ჩემი აზრი გაითვალისწინონ და სხვისი – არა. ჩემი აზრი დაუსაბუთებლად, მაგრამ არ გაითვალისწინეს, მაგრამ სისტემური განცხადებების კეთება, როდესაც მოქალაქე უყურებს, რომ საბჭოს ემბლემის წინ დგას ადამიანი, რომელიც ამბობს, რომ აქ არაფერი წესიერი არ ხდება, ბუნებრივია, რეპუტაცია ამ ინსტიტუტის და ამ ხელისუფლების არის ძალიან მძიმე... მე, როგორც მოქალაქე, არ უნდა ვუყურებდე იუსტიციის საბჭოს წევრის განცხადებას, თუ რა ცუდია იუსტიციის საბჭო ან სასამართლო“.

იუსტიციის საბჭოს წევრის, ზაზა ხარებავას შეკითხვა კანდიდატს: „სასამართლო სისტემის განვითარების სტრატეგიაში არის ერთი ასეთი აქტივობა – კორუფციის რისკების აღქმა და შეფასება და შემდეგში რეაგირება სასამართლო სისტემაში. ეს ალბათ იმიტომ ჩაიწერა, რომ რაღაც ნიშნები ვიღაცამ დაინახა. როგორია სასამართლო სისტემაში კორუფციის რისკების თქვენეული აღქმა დღევანდელი გადმოსახედიდან და შეფასება?“

შალვა თადუმაძის პასუხი: ,

იმიტომ, რომ ეს რისკები არ არსებობს, მე არ მიწევს ამ მიმართულებით მუშაობა, რაც ნამდვილად მისასალმებელია. ამ რისკებზე საუბარი კორპუსში [სასამართლო], არ მგონია, იყოს ადეკვატური,

გამომდინარე იქიდან, რომ სისტემა, ხელისუფლება, რომელიც ამბობს, რომ ამ ქვეყანაში ახორციელებს მართლმსაჯულებას, რომელსაც კანონიერი უფლება გააჩნია, კანონის უზენაესობა დაამტკიცოს და დაამკვიდროს ამ ქვეყნაში, რომელსაც საკანონმდებლო გარანტიები გააჩნია იმის, რომ, ერთი მხრივ, მოთხოვნა მაღალი ღირებულებითი და მაღალი კვალიფიციური ჰქონდეს და, მეორე მხრივ, საკმაო სოციალური გარანტიები იმის, რომ ამ მიმართულებით არ ჰქონდეს ე.წ. ქვენა გრძნობები, მე ვფიქრობ, რომ ეს ხელისუფლება, კორუფციის რისკებზე საკუთარ სტრატეგიაში არ უნდა საუბრობდეს. კორუფციის რისკებზე საკუთარ სტრატეგიაში, შესაძლოა, პროკურატურა საუბრობდეს სასამართლოში არსებულ რისკებთან დაკავშირებით".

ნაზი ჭანეზაშვილის შეკითხვა კანდიდატს: „სახალხო დამცველმა რამდენიმე კვირის წინ გამოაქვეყნა ანგარიში, შეფასება, სადაც საუბარი იყო იმაზე, რომ, სავარაუდოდ, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 10 წევრი ერთიანი სქემით მოქმედებდა და ისე გადაიყვანეს 50 ადამიანი მეორე (გასაუბრების) ეტაპზე. როდესაც უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებთან დაკავშირებით ჩნდება ასეთი სერიოზული ეჭვები, თუ თქვენ აგირჩიეს უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ იმ პროცესების შედეგად, რომლებიც გამოირჩეოდა დარღვევებით, შეიძლება თუ არა ასეთი მოსამართლე მივიჩნიოთ ლეგიტიმურად? და შესაძლებელია თუ არა, ამ მოსამართლის მიერ განხილულ საქმეებზე დაირღვეს სამართლიანი სასამართლოს უფლება, რადგან იგი დარღვევების საფუძველზე იქნა არჩეული თანამდებობაზე?"

შალვა თადუმაძის პასუხი:

მე ვფიქრობ, რომ 50-ეულშიც, 20-ეულშიც და უზენაესშიც სამართლიანად მოვხვდები. მე ვიცნობ ომბუდსმენის დასკვნას. მე არ ვისაუბრებდი ამ თემაზე, თქვენი კითხვა რომ არა, ერთი, და მეორე, 2016 წელს რომ არ მქონდეს ღია ტრიბუნაზე დაფიქსირებული ომბუდსმენის დასკვნების მიმართ ჩემი კრიტიკული პოზიცია. ომბუდსმენის კონსტიტუციური უფლებამოსილებაა, ადამიანის უფლებების დარღვევაზე რეაგირებების მოხდენა ქვეყანაში და ამ დასკვნაში ვერ წავიკითხე, რომელი ადამიანის რა უფლება დაირღვა. არ მგონია, რომ ომბუდსმენი არის ის პირი, რომელიც ამ საკითხებთან მიმართებაში სანდოობის მაღალი ხარისხით სარგებლობს, რადგან ეს გამოცდილებები ომბუდსმენს არ უნდა ჰქონდეს. გარწმუნებთ, რომ იურისტზე კარგად ვიცი მათემატიკა, მათ შორის, ალბათობის თეორია, უმაღლესი მათემატიკაც, და ჩემს შემთხვევაში ორი მოსამართლის აზრიც რომ დაემთხვეს ერთმანეთს, ალბათობის ერთი ერთში ხარისხი არსებობს; ოთხი რომ დაემთხვეს, ამის ალბათობაც არსებობს (მაგალითად, საპროკურორო საბჭოს 11-ვე წევრის გადაწყვეტილება დაემთხვა ერთმანეთს ჩემთან მიმართებაში და პარლამენტში 101 წევრის პოზიცია დაემთხვა ჩემი მთავარ პროკურორად არჩევის შემთხვევაში)".

ნაზი ჭანეზაშვილის შეკითხვა კანდიდატს: „ჩემი კითხვა ეხება გიორგი მიქაუტაძეს. ეს ეხება სისხლის სამართლის საქმეს, სადაც ფიგურირებს ხაჭაპურიძე-ხაჩიძის ოჯახი, და ეხება ინციდენტს, რომელიც მოხდა 2011 წლის ზაფხულში, გონიოში. ამ შემთხვევაზე დაიწყო ორი სისხლის სამართლის საქმის გამოძიება. ერთზე უკვე დადგა განაჩენი და გასაჩივრებულია უზენაეს სასამართლოში, სადაც დაზარალებულია გიორგი მიქაუტაძე, ხოლო მეორე სისხლის სამართლის საქმეზე, სადაც ფიგურანტია გიორგი მიქაუტაძე, მიმდინარეობს გამოძიება, მიუხედავად იმისა, რომ ხანდაზმულობის ვადა თითქმის ერთი წელია გავიდა. როგორ ფიქრობთ, რამდენად სწორია, როდესაც მოსამართლის მიმართ გამოძიება არ მთავრდება? ხომ არ არის ეს რაიმე ზემოქმედების ბერკეტი მოსამართლეზე? თუ გამოძიებამ ვერაფერი ვერ დადგინა, რატომ არ დასრულდა გამოძიება? და მეორე, რატომ გრძელდება გამოძიება ისეთ საქმეებზე, სადაც ხანდაზმულობის ვადები ამოწურულია?"

შალვა თადუმაძის პასუხი:

მე მიმაჩნია, რომ თქვენი კითხვა არის საფუძველი, რომ თქვენი აცილება დავაყენო. უბრალოდ, დროის გაწელვაში რომ არ ჩამეთვალოს, ამაზე უარს ვამბობ, მაგრამ აგიხსნით, რომ თქვენ არ ხართ არც კონსტიტუციით და არც კანონით უფლებამოსილი, ანგარიში მოისმინოთ გენერალურ პროკურატურაში მიმდინარე საგამოძიებო საქმეებთან დაკავშირებით და უბრალოდ კანონს არღვევთ, როდესაც ანგარიშს მთხოვთ მიქაუტაძის საქმესთან დაკავშირებით. თქვენ ამის უფლება არ გაგაჩნიათ და, როდესაც წევრი კანონს არღვევს, ეს არის მისი აცილების საფუძველი... შეფარვითი კითხვა, გამოძიების არდამთავრება ხომ არ ნიშნავს მოსამართლეზე ზეწოლას, არის შეურაცხმყოფელი ჩემთვის, რადგან მე არ ვარ გენერალური პროკურორი, რომელიც საქმეებით ვიღაცაზე ზეწოლას ახდენს“.

ნაზი ჭანეზაშვილის შეკითხვა კანდიდატს: „არსებობს მოსაზრება, რომ ის მოსამართლეები, რომლებიც სისტემაში ახლაც მუშაობენ, ადრე იყვნენ ცუდები და ახლა გახდნენ კარგები. რამდენად ეთანხმებით ამას?“

შალვა თადუმაძის პასუხი:

არ ვეთანხმები მოსაზრებას. ვფიქრობ, რომ ადრე კანონმდებლობაც, სისტემაც და ხელისუფლებაც (და არა პერსონიფიცირებულად მოსამართლეები), არ იყვნენ დემოკრატიული ღირებულებების მატარებლები (სისტემაზე მაქვს საუბარი) და მოსამართლეები იღებდნენ იმ გადაწყვეტილებას, რომელსაც იღებდნენ, რომელიც შეიძლება მე არ მომწონდა, არ ვეთანხმებოდი, მაგრამ ასეთ გადაწყვეტილებებს მე ვასაჩივრებდი. ვთვლი, რომ სისტემა იყო ცუდი, მათ შორის, სასამართლო ხელისუფლებაც, მაგრამ ამ სიცუდის გარანტი იყო ის კანონმდებლობა, რომელიც ამის შესაძლებლობას იძლეოდა“.

ნაზი ჭანეზაშვილის შეკითხვა კანდიდატს: „მაინტერესებს, რას ფიქრობთ ლგბტ ადამიანების უფლებებთან დაკავშირებით? ზოგადად, რა დამოკიდებულება გაქვთ და რა პრობლემებს ხვდებიან ისინი საქართველოში სამართლებრივი თვალსაზრისით და რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ლგბტ ადამიანების უფლებების რეალიზება მოხდეს ცხოვრებაში?“

შალვა თადუმაძის პასუხი:

ვაღიარებ ყველა ადამიანის თანასწორობას. ყველა ადამიანს, მიუხედავად თავისი განმასხვავებელი ნიშნებისა, ერთნაირი უფლებები გააჩნია ქვეყანაშიც და სამყაროშიც. არ ვიცი, რა პრობლემატიკა აქვთ, მართალი გითხრათ. გულწრფელად რომ გითხრათ, ერთი წელია, ტელევიზორისთვის არ მიყურებია. შესაბამისად, ის დეტალები არ ვიცი, რა პრობლემის წინაშე დგანან. თუმცა, არ გავიპრანჭები და არ ვიტყვი, რომ არ ვმონაწილეობდი და პირადად არ ვიყავი ანტიდისკრიმინაციული კანონის გამტანი საქართველოს პარლამენტში“.

იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გასაუბრებაზე ბატონმა შალვა თადუმაძემ ასევე აღნიშნა:

ქალბატონი ნაზი არ მიწყენს, ქალბატონი ანა არ მიწყენს, მაგრამ როცა მე, როგორც მოქალაქეს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფონზე მეუბნებიან, რომ სასამართლო არ არის დამოუკიდებელი, ამას თვითონ ამბობენ, მე კი მოქალაქე ვარ, არ ვიცი, ვინ როდის, როგორ აირჩია, ვიცი, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო არის სასამართლოს მართვის ორგანო, სადაც არიან ქალბატონი ნაზი, ანი... ზოგი გამოდის და ამბობს, დამოუკიდებელი ვარო, ზოგი გამოდის და ამბობს, რომ არ არიან დამოუკიდებელნი: არ ვართ ჩვენ დამოუკიდებლები და ჩვენზე ხორციელდება ზეწოლაო. ამის

გადალახვა არის ძალიან რთული, მაშინ, როცა შიგნიდან ამბობ, რომ არ ხარ დამოუკიდებელი, ვერავის ვერ დაუმტკიცებ, რომ დამოუკიდებელი ხარ. ამიტომ, მე მგონია, რომ ციხესიმაგრის განცდა, რომ ეს არის ხელისუფლება, რომელიც უზრუნველყოფს კანონის უზენაესობას, არის მნიშვნელოვანი. მოდელირებას გავაკეთებ სასამართლოსა და პროკურატურას შორის, აქ აღარ მოვერიდები დელიკატურ მიდგომებს: ყველას გახსოვთ, 2012 წლამდე პროკურატურას რა როლი და გავლენა ჰქონდა სასამართლოზე, თუნდაც გამამტყუნებელი განაჩენების კუთხით. მე თვითონ თავს მოვიტყუებ, რომ ვთქვა, რომ იმ დროს სასამართლოში კომფორტული იყო პირის დაცვა, იმიტომ, რომ აზრი არაფერს არ ჰქონდა იდეაში. დღეს ასე არ არის. ამ სიტყვებზე ვარ პასუხისმგებელი, რომ დღეს სასამართლო არ არის კომუნიკაციაში პროკურატურასთან და არანაირი მითითებები პროკურატურიდან არ მოდის; და მეორე, პროკურატურის მენეჯმენტში მონაწილეობენ მოსამართლეები. ნებისმიერ დროს ანგარიშვალდებული ვარ მოსამართლეების წინაშე. აბსოლუტურად სახეშეცვლილი სურათია. [...] მე ვფიქრობ, რომ პრობლემატიკა, ერთი მხრივ, არის იმაში, რომ განცდა ხელისუფლებში არ ჩანს – განცდა იმისა, რომ ეს არის ციხესიმაგრე, რომელიც შიგნიდან არ უნდა გატყდეს, არ ჩანს. ეს ჩვეულებრივი ადამიანისთვის, რომელსაც არ აქვს შეხება სასამართლოსთან, ტელევიზორში აქვს ნანახი მხოლოდ, რა არის სასამართლო. ტელევიზორში რომ ვხედავ ადამიანს, რომელსაც უკან აწერია იუსტიციის უმაღლესი საბჭო და ამბობს, რომ სასამართლო არ არის დამოუკიდებელი, ჩემთვის სასამართლო არ არის დამოუკიდებელი. არ მივსულვარ სასამართლოში, მაგრამ დამოუკიდებელი არ არის. მეორეა, ვინ არის შენი მომხმარებელი. მომხმარებლის ნაწილში არ შეიძლება 100% იყოს სასამართლოს კმაყოფილი. გამორიცხულია, რომ კმაყოფილი იყოს. შეჯიბრებითობის პრინციპია: ერთი მხარე აგებს, მეორე – იგებს. მნიშვნელოვანია კმაყოფილების ხარისხი. [...] როგორ ახერხებენ სხვა ქვეყნებში, რომ სასამართლო უფრო რეიტინგულია, ვიდრე აღმასრულებელი ხელისუფლება და საკანონმდებლო ხელისუფლება? ეს მოდელები არსებობს. ეს მოდელები, სავარაუდოდ, შესასწავლი და დასანერგია“.

- გასაუბრების ეტაპზე ბატონმა შალვა თადუმაძემ შეკითხვაზე, რამდენად შესაძლებელია, გაუქმდეს საკონსტიტუციო სასამართლო, აღნიშნა, რომ ემხრობოდა საკონსტიტუციო სასამართლოს გაუქმებას და უზენაესი სასამართლოს პალატად გაერთიანებას. მან ასევე აღნიშნა, რომ სასამართლო ხელისუფლება უნდა იყოს ერთიანი. უზენაეს სასამართლოზე მაღლა მდგომი ინსტანციურობა მიუღებელია მისთვის, როგორც იურისტისთვის. სასამართლოს მიმართ ნდობა კი უფრო მაღალი იქნება, **„თუ სისტემა იქნება ერთიანი და მისი ზევით კიდევ ე.წ. ყარაული არ იქნება შექმნილი“**. შალვა თადუმაძემ განმარტა: **„არ მიმაჩნია სწორად, რომ საკონსტიტუციო სასამართლო იყოს უფრო მაღლა მდგომი ადამიანის უფლებების საკითხებთან მიმართებით, ვიდრე უზენაესი სასამართლო“**.

ნაზი ჭანეზაშვილის მიმართვა კანდიდატს: **„სასამართლო სისტემის განვითარების სტრატეგიაში, თუ გაეცნობით, ერთ-ერთი მიმართულება არის დამოუკიდებლობა და ქვემიმართულებებში დასახელებულია არაერთი რისკი, მათ შორის, მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნისა და კარიერული წინსვლის სისტემის არაეფექტიანობიდან გამომდინარე; რისკები, გამომდინარე მენეჯმენტის ხარვეზიდან, რისკები, დაკავშირებული უფლებამოსილების ვადასთან. ამ დოკუმენტში რომ ჩაიხედოთ – და, კარგი იქნებოდა, ჩაგეხედათ – გეცოდინებოდათ, სად არის სასამართლო სისტემა ამ ეტაპზე.“**

შალვა თადუმაძის პასუხი:

მაგაზე ნუ ვიდავებთ, ქალბატონო ნაზი, სასამართლო სისტემა რა ეტაპზეა, მე თქვენზე კარგად ვიცი. ჩვენ შორის ვინ უფრო იცნობს სასამართლო სისტემას? მე უფრო კარგად ვიცნობ! მე საერთოდ არ ვიმეცადინე. მე აქ არ მოვსულვარ ნამეცადინები იურისტი, მე აქ მოვედი იმ გამოცდილებით, რაც წლების განმავლობაში დავაგროვე და არ ვაპირებ ახლა საბჭოს წევრებისგან მივიღო შენიშვნები, რა უნდა წამეკითხა და რა – არა. თუ გაინტერესებთ, მე და თქვენს შორის ვინ უფრო მაგარი იურისტია, მე ვარ მაგარი იურისტი. თუ გაინტერესებთ, სასამართლო სისტემას ვინ უფრო იცნობს, მე უფრო ვიცნობ, იმიტომ, რომ საპროცესო საქმიანობას ვახორციელებდი, რეფორმების

ნაწილში ვმუშაობდი და მომავალშიც საპროცესო საქმიანობას ვახორციელებ. ეს არ არის ის კატეგორია, რომლითაც საბჭოს წევრი გასაუბრების კანდიდატს უნდა ელაპარაკოს. მე არ ვარ სტუდენტი და აქ ჩათვლის წასაღებად არ მოვედი“.

გასაუბრებისას შალვა თადუმაძემ დამატებით აღნიშნა:

> **სასამართლო სისტემის განვითარება ფურცელზე არ ხდება. სტრატეგია წაკითხული მაქვს თუ არა, კიდევ ერთი საკითხია, მაგრამ ფურცელზე არ ხდება სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა. დამოუკიდებლობა ხდება განცდაში, რომელიც გააჩნია თითოეულ მოსამართლეს საქმის განხილვის დროს, და პასუხისმგებლობა, რომელსაც საქმის განხილვის შემდეგ ამ საქმეზე იღებს, როგორც კორპუსის და სახელმწიფოს, ისე სამართლიანობის წინაშე. ამიტომ, ამაზე ნუ ვისაუბრებთ – იმაზე, ვინ რა წაიკითხა. თქვენ წაგიკითხავთ მთავრობის იმდენი დადგენილება, რამდენიც მე?“**

იუსტიციის საბჭოს წევრის, ანა დოლიძის შეკითხვა კანდიდატს: **„ზურაბ ადეიშვილი რომ არ იყოს ძებნილი და დღეს თბილისის პროკურორი იყოს, როგორი დამოკიდებულება გექნებოდათ მასთან?“**

შალვა თადუმაძის პასუხი:

„ადეიშვილისა და მიხეილ ჩინჩალაძის შედარება არასწორია, რადგან ზურაბ ადეიშვილი დღეს ძებნილია, ამიტომ ეს შედარება სამართლებრივადაც მცდარია. მე ჩემი დამოკიდებულება მქონდა იმ სისტემაზე, რაც მაშინ არსებობდა და როგორც გენერალურ პროკურორს, იგივე გამოწვევა მქონდა, მათ შორის, დანიშვნის დროს. პარლამენტიდან ახლაც ხშირად ვისმენ განცხადებებს, რომ იქ მუშაობენ ადეიშვილის კადრები; ადეიშვილის დროს რომ პროკურორი იყო, როგორ შეიძლება ახლაც იყოს პროკურორი – მსგავსი განცხადებები, ჩემი აზრით, ჩვენს სისტემებში არასწორია. თუ კანონში ჩამიწერენ, რომ ადეიშვილის დროს ნამუშევარი პროკურორი არ უნდა მუშაობდეს საქართველოს პროკურატურაში, მე შესაბამის გადაწყვეტილებებს მივიღებ, ხოლო თუ პოლიტიკოსს არ მოსწონს ის, რომ ადეიშვილის დროს დანიშნული პროკურორი მუშაობს პროკურატურაში, მე გადაწყვეტილებას არ მივიღებ, სანამ იმ დროს დანიშნული პროკურორი არ ჩაიდენს ისეთ ქმედებას, რომლითაც იგი აღარ იმუშავებს საქართველოს პროკურატურაში. რაც შეეხება განცხადებებს „კლანზე“ და ა.შ. შეიძლება პროკურატურაში მსგავსი ტერმინები გაავრცელონ, ან თქვან, რომ იქ რაღაც „კლანები“ არსებობს, მაგრამ ამას სჭირდება შესაბამისი სამართლებრივი უზრუნველყოფა და იმის თქმა, რომ არსებობს რაღაც პოლიტიკური „კლანი“. ამიტომ, პოლიტიკოსებმა მიიღონ გადაწყვეტილება, ჩაწერონ კანონში, რომ პროკურატურაში არსებობს „თადუმაძის კლანი“ და ის, რომ “თადუმაძის კლანთან“ დაკავშირებულ პირებს ეკრძალებათ საპროკურორო საქმიანობა. სხვა შემთხვევაში, გემოვნებაზე ვერ მოვაწყობთ სისტემას. ჩემს სისტემაში მუშაობს ძალიან ბევრი ადამიანი, რომლებიც იმ დროს მუშაობდნენ, რომლებიც ჩემი მოწინააღმდეგე მხარეები იყვნენ სასამართლო პროცესში, და თუ რამე მაკავშირებს მათთან, ეს არის მეგობრული ურთიერთობა, რადგან კანონმდებლობა არ მეუბნება, რომ რაღაც დროის წინ მომუშავე ადამიანს შეუძლია ან არ შეუძლია ხმის ამოღება. თუ ადეიშვილი არ იქნება ბრალდებული, არ მექნება საფუძველი, რომ რაიმე აქვს დაშავებული პროკურატურაში და არ მექნება პრობლემა მის კვალიფიკაციასთან. ბუნებრივია, მე, ადეიშვილთან, როგორც თბილისის პროკურორთან, ვიმუშავებ“.

6. კანდიდატის ფინანსური ვალდებულებები და შემოსავლები

1. ქონება (უძრავი/მოძრავი)

2018
კომერციული ფართი
$ 90 000
113 კვ.მ.

2016
$ 55 000
93 კვ.მ.

2013
აგარაკი
$ 32 000
1100 კვ.მ.

2013
$ 100 000
120 კვ.მ.

2012
ოფისი
$ 50 000
70 კვ.მ.

1998
$ 8 000
80 კვ.მ.

2. ფინანსები

ბატონი შალვა თადუმაძის შემოსავლების ანალიზი სრულფასოვნად ვერ მოხერხდა, ვინაიდან მას 2015-2017 წლების განმავლობაში ქონებრივი დეკლარაცია არ შეუვსია. არსებული ინფორმაციით კი დადგინდა, რომ 2018 წლის მდგომარეობით, მას დაფარული აქვს ყველა ძირითადი საბანკო ვალდებულება. კანდიდატს ყველაზე მეტი სახელფასო შემოსავალი 2013 წელს დაუფიქსირდა – ჯამში, 95,700 ლარი. რაც შეეხება მის მეუღლეს: მზევინარ ანსიანი საადვოკატო საქმიანობას ეწევა და მონაწილეობს რამდენიმე კომპანიაში, როგორც პარტნიორი და როგორც დირექტორი. მიუხედავად ამისა, შალვა თადუმაძის მიერ შევსებული დეკლარაციებიდან ირკვევა, რომ მზევინარ ანსიანს უკანასკნელ წლებში საკუთარი საქმიანობიდან ანაზღაურება არ მიუღია.

2018 წელს შალვა თადუმაძის მეუღლის სახელზე ფიქსირდება 90 000 აშშ დოლარად ნაყიდი კომერციული ფართი. დეკლარაციის თანახმად, ამ წელს მზევინარ ანსიანის ერთადერთი შემოსავალი გახლდათ უძრავი ქონებიდან მიღებული 65 000 აშშ დოლარი, ხოლო ბატონი შალვა თადუმაძის ანაზღაურება, სხვადასხვა გადასახადის გადახდის შემდეგ, 69 000 ლარს შეადგენდა. თუკი ჩავთვლით, რომ კანდიდატის მეუღლის მიერ მიღებული 65 000 აშშ დოლარი ახალი ქონების შეძენას მოხმარდა, საინტერესოა, საიდან მოუყარეს თავი კომერციული ფართის შესასყიდად საჭირო დანარჩენ 25 000 აშშ დოლარს.

ჩვენ მიერ დამუშავებული ღია წყაროების მიხედვით, ამ თანხის მობილიზების ერთი გზა არსებობს: შალვა თადუმაძის მთელი წლის ხელფასის მხოლოდ ამ მიზნით დახარჯვა, რაც პრაქტიკაში შეუძლებელია. ამასთანავე, მათ არ გამოუყენებიათ ოჯახის წევრების ანაბარზე არსებული თანხებიც, რაც მომდევნო წლის დეკლარაციით დასტურდება. შესაბამისად, დაუსაბუთებელია, საიდან შეაგროვეს კომერციული ფართის შესყიდვისთვის საჭირო თანხა.

2013 წელს თადუმაძეების ოჯახის სახელზე რეგისტრიებულია ბინა თბილისში, რომელიც 2014 წლის დეკლარაციაში აღარ ჩანს. სავარაუდოდ, შალვა თადუმაძემ უძრავი ქონება გაყიდა და, ამ თანხით, 2014 წელს 100 000 აშშ დოლარად ღირებული ბინა შეიძინა. თუ ეს ვარაუდი მართალია, მაშინ ინფორმაცია არასრულად არის მითითებული, რაც, მოქმედი კანონმდებლობით, არის თანამდებობის პირის მიერ ქონებრივი დეკლარაციის შევსების წესის დარღვევა.

ავტორები: ედუარდ მარიკაშვილი, ანა ნაცვლიშვილი, გიორგი ბერაია, ირაკლი გვარამაძე, ზაზა აბაშიძე

რედაქტორები: დავით პაიჭაძე, გიორგი ჩიტიძე, სოფიო ასათიანი, ინა გრიგალაშვილი დიზაინი: ბესიკ დანელია

ფონდი დოკუმენტის მომზადებაში შეტანილი წვლილისთვის მადლობას უხდის:
სალომე კვირიკაშვილს, მარიამ ორჭონიას, ლაშა ჯუღელს, თინათინ ჭაჭუკაშვილს, გვანცა კახიძეს,
თეონა ბაბუციძეს, ხატია ნიკოლაიშვილსა და შოთა ქობალიას

ღია საზოგადოების ფონდი

მომზადებულია საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის მიერ